



თბილისი, საქართველო, 11 დეკემბერი, 2008 წ.

საერთაშორისო ფინანსური დახმარების შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

„კავკასიის კვლევებისა და რესურსების ცენტრმა“ (CRRC) „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ (TI Georgia) დაკვეთით 2008 წლის ნოემბერში¹ ჩატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. მასში მონაწილეობა 1,837 რესპონდენტმა მიიღო². კითხვები საქართველოსთვის გამოყოფილ ფინანსურ დახმარებას და მისი განაწილებისა და ხარჯვის ეფექტურობას ეხებოდა. სულ გამოკითხულებს რვა კითხვა დაუსვეს:

1. თქვენი აზრით, რატომ ეხმარებიან დონორი ქვეყნები საქართველოს?
2. თქვენი აზრით, რაზე უნდა დაინარჯოს დახმარების თანხები (სამი პრიორიტეტული სფერო)?
3. რა მიგაჩნიათ საქართველოს მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევის საუკეთესო გზად?
4. თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ვინ ისარგებლებს დახმარებით?
5. თქვენი აზრით, როგორ დაინარჯება დახმარების თანხები?
6. ყველაზე მეტად ვის ენდობით დახმარების ადმინისტრირებისა და კონტროლის კუთხით?
7. თქვენი აზრით, რა არის დახმარების თანხების ეფექტურად და კანონის დაცვით განაწილებისა და ხარჯვის საუკეთესო მექანიზმი?
8. ფიქრობთ თუ არა, რომ დევნილების მუდმივი საცხოვრებლებით უზრუნველყოფა მათ საკუთარ სახლებში დაბრუნებას ხელს შეუშლის?

კვლევამ რამდენიმე საინტერესო შედეგი აჩვენა:

- დონორების მიმართ ნდობა მაღალია. მათ მოტივაციას ეჭვის თვალთ გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მეოთხედი უყურებს. რესპონდენტების თითქმის ნახევარი თანხების სწორად განკარგვაში ყველაზე მეტად დონორებს ენდობა. ზედამხედველობის სხვადასხვა სახეებს შორის ისინი უპირატესობას დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ზედამხედველობას ანიჭებენ.
- მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ფიქრობს, რომ თანხები არაეფექტურად დაინარჯება.
- რესპონდენტებისთვის ყველაზე პრიორიტეტული დახმარების თანხების იძულებით გადაადგილებული პირებზე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებზე და სოციალურად დაუცველ ოჯახებზე მიმართვაა. უმრავლესობას სჯერა, რომ ხალხისთვის დახმარების გაწევის საუკეთესო გზა არა პრიორიტეტების განსაზღვრაში მთავრობისა და დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართვა, არამედ მათთვის პირდაპირ ფულის მიცემაა.
- გამოკითხულთა ნახევარზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირების მუდმივი საცხოვრებლებით უზრუნველყოფასა და მათ შინ დაბრუნებას შორის წინააღმდეგობას ვერ ხედავს.

ეს გამოკითხვა ჩატარდა საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში



¹ ინტერვიუები ჩატარდა 2008 წლის 25 ოქტომბრიდან ამავე წლის 9 ნოემბრამდე.

² გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღიათ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც კონფლიქტურ რეგიონებში ცხოვრობენ. გამოკითხვის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, მასში მონაწილეობა არც ეთნიკურ უმცირესობებს მიუღიათ. გამოკითხვის საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, თუმცა, CRRC დარწმუნებულია, რომ ამ დოკუმენტში წარმოდგენილი წინასწარი შედეგები არ შეიცვლება.




1. რატომ ეხმარებიან დონორები საქართველოს?

- გამოკითხულთა უმრავლესობა დონორების მოტივაციას პოზიტიურად აფასებს.

რესპონდენტების თითქმის ერთი მესამედი ფიქრობს, რომ დონორი ქვეყნები საქართველოს ფინანსებით იმიტომ ეხმარებიან, რომ ქართველი ხალხის დახმარება უნდათ. 15%-ის აზრით, მათი მიზანი ქართული სახელმწიფოს დახმარებაა.

ყოველი მეშვიდე ქართველი თვლის, რომ დონორების ძირითადი მოტივაცია არსებული ხელისუფლებისთვის ძალაუფლების შენარჩუნებაში დახმარების გაწევაა.

დაახლოებით ერთი მეოთხედის აზრით, დონორები, ძირითადად, საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობენ.



2. რა პრიორიტეტული სფეროების დაფინანსებაზე უნდა დაიხარჯოს გამოყოფილი თანხები?


- გამოკითხულთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იძულებით გადაადგილებული პირების, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებაა.

საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ რაზე უნდა დაიხარჯოს საქართველოსთვის გამოყოფილი თანხები, არაერთგვაროვანია. რესპონდენტებს სთხოვეს, შეთავაზებული ვარიანტებიდან სამი პრიორიტეტული სფერო აერჩიათ. ზოგადად, ყველაზე ხშირად პრიორიტეტებად სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული საკითხები დასახელდა. შეიძლება გასაკვირი იყოს, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება თითქმის იმდენივე გამოკითხულმა გამოყო პრიორიტეტად, რამდენმაც იძულებით გადაადგილებული პირებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულების დახმარება. მომდევნო ადგილზე გავიდა, თუმცა, წინა თემებს მნიშვნელოვნად ჩამორჩა, სახელმწიფოს გაძლიერება.

სამუშაო ადგილების შექმნა, სამხედრო სფეროს დაფინანსება და ჯანდაცვის სისტემის ხელშეწყობა პრიორიტეტებად გამოკითხულთა დაახლოებით ერთმა მესამედმა (თითოეული ცალ-ცალკე)




დაასახელა. სხვა ფორმულირებას თუ მივცემთ, ეს საკითხები ქართველების ორ მესამედს ნაკლებად მნიშვნელოვნად მიაჩნია.



3. რა არის საქართველოს მოქალაქეების დახმარების საუკეთესო გზა?

- უმრავლესობის აზრით, ხალხის დახმარების საუკეთესო საშუალება ფულის მათთვის მიცემაა.

უმრავლესობა თვლის, რომ ხალხისთვის ყველაზე კარგი დახმარება მათთვის ფულის პირდაპირ მიცემა იქნებოდა. ყოველ ხუთ გამოკითხულში ერთი ფიქრობს, რომ თანხების განკარგვა დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შემუშავებული პრიორიტეტების მიხედვით უნდა მოხდეს. მთავრობას ამ მხრივ უპირატესობას მხოლოდ ყოველი მეათე რესპონდენტი ანიჭებს.






4. ყველაზე მეტად ვინ ისარგებლებს დახმარების თანხებით?

- დაახლოებით 40% ფიქრობს, რომ ყველაზე მეტად დახმარების თანხებით კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირები ისარგებლებენ.

საკმაოდ მაღალმა პროცენტმა (26%) აირჩია პასუხი „არ ვიცი“. ეს, შესაძლოა, იმით არის განპირობებული, რომ ისინი დასკვნების გამოტანამდე მოვლენების განვითარებაზე დაკვირვებას ამჯობნიებენ.

ყოველი მეექვსე გამოკითხულის აზრით, ყველაზე მეტ სარგებელს სოციალურად დაუცველი ოჯახები ნახავენ. დაახლოებით ამდენივე რესპონდენტმა თქვა, რომ დახმარების თანხებით ყველაზე მეტად მთავრობა ისარგებლებს.




5. როგორ დაიხარჯება დახმარების თანხები?

- გამოკითხულთა მხოლოდ 27% თვლის, რომ დახმარების უმეტესი ნაწილი ეფექტურად და კანონის დაცვით დაიხარჯება.

დახმარების თანხების სწორად განკარგვის მიმართ რესპონდენტების თითქმის ნახევარი პესიმისტურად არის განწყობილი. მათი დიდი ნაწილი უფრო არაეფექტური ხარჯვის რისკს ხედავს, ვიდრე კორუფციისას.

როგორც წინა კითხვის შემთხვევაში, აქაც ბევრმა, გამოკითხულთა თითქმის ერთმა მეოთხედმა, პასუხი „არ ვიცი“ აირჩია.




6. თანხების განკარგვაში ყველაზე მეტად ვის ენდობით?

- თანხების სწორად ხარჯვის უზრუნველყოფაში ქართველები დონორებს გაცილებით მეტად ენდობიან, ვიდრე ნებისმიერ სხვა უწყებასა და ინსტიტუტს.

თანხების გაკონტროლებაში გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი ყველაზე მეტად დონორებს ენდობა.

აღმასრულებელი ხელისუფლების (პრეზიდენტის ჩათვლით) მიმართ ნდობა რესპონდენტთა 10%-მა გამოხატა. ჰუმანიტარულ და სხვა სახის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გაეროს კიდევ უფრო ნაკლები ადამიანი ენდობა (ჯამში 5%). თუმცა, 3%-მა უპასუხა, რომ ჩამოთვლილთაგან ყველას ენდობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს 3% ყველა უწყებასა და ინსტიტუტს შეიძლება დაემატოს.

14%-ზე მეტმა პირდაპირ თქვა, რომ ჩამოთვლილთაგან არც ერთს არ ენდობა. 17%-მა გასცა პასუხი „არ ვიცი“.






7. რა არის იმის ყველაზე ეფექტური საშუალება, რომ დახმარების თანხები ეფექტურად დაიხარჯოს და არ დაიკარგოს?

- ქართველები უპირატესობას დონორების მიერ განხორციელებულ კონტროლს ანიჭებენ.

იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტი ნდობით დონორები სარგებლობენ, გამოკითხულები თანხების გაკონტროლებაშიც დონორებს ანიჭებენ უპირატესობას (40%). მეორე ადგილზე ხელისუფლებას, თუმცა, ის, მიღებული 15%-ით, პირველს საგრძნობლად ჩამორჩება. საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის მხრიდან განხორციელებული კონტროლი (სამივეს ერთად) ყველაზე შედეგიანად მხოლოდ ყოველმა მეხუთე რესპონდენტმა მიიჩნია. 20%-მა არ იცის, რა გზა იქნებოდა ყველაზე ეფექტური თანხების გასაკონტროლებლად.

პარლამენტსა და ადგილობრივ ხელისუფლებას, ამ კუთხით, (ორივეს ერთად) 4% უჭერს მხარს.



8. არის თუ არა იძულებით გადაადგილებული პირების მუდმივი საცხოვრებლებით უზრუნველყოფა იმის ნიშანი, რომ ისინი ვერ დაბრუნდებიან?

- ქართველების ნახევარზე მეტი დარწმუნებულია, რომ იძულებით გადაადგილებული პირების მუდმივი საცხოვრებლებით უზრუნველყოფა მათ დაბრუნებასთან არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის.


რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დონორების დახმარებით გადაწყვიტა, რომ საცხოვრებლებით უზრუნველყო არა მხოლოდ ახალი, არამედ ძველი (90-იანი წლების პერიოდის) იძულებით გადაადგილებული პირებიც.

რესპონდენტებს სთხოვეს შეეფასებინათ შემდეგი ორი დებულება:

1. იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სახლების აშენება დროებითი მოვლენაა. მოგვიანებით ისინი შინ დაბრუნდებიან.



2. იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სახლების აშენება იმას ამტკიცებს, რომ ისინი დაბრუნებას ვერ შეძლებენ.



როგორც გამოკითხვამ აჩვენა, ქართველების დიდი ნაწილი არ ფიქრობს, რომ იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სახლების აშენება კონფლიქტების მოგვარების და მათი შინ დაბრუნების უპერსპექტივობის აღიარებაა. გამოკითხულთა აზრით, იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებლებით უზრუნველყოფა პრობლემის მხოლოდ დროებითი გადაჭრაა. იგივე განცხადებებს აკეთებს საქართველოს ხელისუფლებაც. ეს საკითხი საერთაშორისო სამართლითაც რეგულირდება. საერთაშორისო ნორმების თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირებს შინ დაბრუნების უფლება აქვთ მიუხედავად იმისა, თუ როგორ პირობებში ცხოვრობდნენ ისინი დევნილობის დროს.

რესპონდენტების მხოლოდ 18% ვარაუდობს, რომ სახლების აშენება იძულებით გადაადგილებული პირების შინ დაბრუნების უპერსპექტივობაზე მიუთითებს. ამ მოსაზრებას სრულად 7% იზიარებს.

გამოკითხულთა მეოთხედს ამ საკითხზე მკვეთრად ჩამოყალიბებული აზრი არა აქვს. მათ აირჩიეს პასუხები „არც ერთ დებულებას არ ვეთანხმები“ და „არ ვიცი“.

უახლოეს წლებში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გააგრძელებს საქართველოში შემომავალი საერთაშორისო დახმარების აღნუსხვას, მონიტორინგს და შეფასებას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მომზადებული ანგარიშების გამოწერა შეგიძლიათ ჩვენს ვებ-გვერდზე: www.transparency.ge



ინფორმაცია პროექტის შესახებ

ეს კვლევა მომზადდა პროექტის „ეფექტური დახმარება საჯარო მონაწილეობის მეშვეობით“ ფარგლებში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ეს ორთვიანი პროექტი დაფინანსებული იყო საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ, რომელმაც ამ მიზნისთვის 14 620 ევრო გამოყო. ანგარიში დაურიგდა 2000-ზე მეტ ადამიანს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



„კავკასიის კვებითი რესურსების ცენტრების“ პროგრამა არის რესურსებისა და ტრენინგის ცენტრების ქსელი, რომლის ოფისებიც სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს დედაქალაქებშია განთავსებული. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში სოციალურ მეცნიერებებში კვლევებისა და პოლიტიკის ანალიზის განვითარებას.